

სოციალური კეთილდღეობა

დახმარება ხანდაზმულ, ახალგაზრდა და უნარშეზღუდულ პირებს

ხანდაზმულთა სოციალური კეთილდღეობა

სამედიცინო ტექნოლოგიების წინსვლასთან, საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და კვების გაუმჯობესებასთან ერთად იაპონელი ხალხის სიცოცხლის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად



ხანში შესული მამაკაცი თვლიან ეტლში

გაიზარდა. მაშინ როცა ხანდაზმულთა რიცხვი იზრდება, მოთხოვნა დამაბუნებულთა და ლოგინად ჩავარდნილთა მოვლაზე ასევე სწრაფად მატულობს. 2055 წლისთვის ხანდაზმულთა რაოდენობა იაპონიის მოსახლეობის 40.5 %-ს შეადგენს. ეს ნიშნავს იმას, რომ ყოველ 2.5 ადამიანში ერთი ან 65 წლის ან 65 წელს გადაცილებული იქნება. ამის შედეგად მოხუცთა მზრუნველობისადმი მოთხოვნა საგრძნობლად გაიზრდება.

მოხუცების მოვლის უზრუნველყოფის პრობლემა რეალურია, განსაკუთრებით, საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახებისათვის. გასათვალისწინებელია, რომ იაპონიაში ოჯახის სტრუქტურა ცვლილებას განიცდის: ადრე თუ რამდენიმე თაობა ცხოვრობდა

ერთად, ახლა მხოლოდ მშობლებსა და შვილებს უწევთ ერთად ცხოვრება. ამ მდგომარეობის საპასუხოდ, იაპონიის მთავრობა ანვითარებს როგორც ხანდაზმულთათვის სოციალური კეთილდღეობის სისტემას, ასევე სამედიცინო სერვისებს, რომელიც იზრუნებს მათზე, ვისაც ეს ესაჭიროება. ამ მიზნით, 2000 წელს შემოიღეს გრძელვადიანი სადაზღვევო სისტემა და იგი ახალი სოციალური სადაზღვევო სისტემის შემადგენელი ნაწილია.

კეთილდღეობის ზომები, რომლითაც ხანდაზმულები სარგებლობენ ეფუძნება ხანდაზმულთათვის სოციალური კეთილდღეობის სამსახურის კანონს (*როჯინ ფუკუში ჰო*), რომელიც 1963 წელს დაამტკიცეს. 1982 წელს მიღებული ხანდაზმულთა ჯანმრთელობისა და სამედიცინო სამსახურის კანონის (*როჯინ ჰოკენ ჰო*) დებულებები მნიშვნელოვანია მოხუცთა ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის, მათი მოვლისა და დაცვისათვის.

სოციალური კეთილდღეობის ზომები, რომელიც მიიღება მოხუცთა, ბავშვთა და უნარშეზღუდულთათვის, ადმინისტრირდება ადგილობრივი ხელისუფლების, უფრო კონკრეტულად,

კეთილდღეობის ოფისების (*ფუკუში ჯიმუშიო*) მიერ. პროფესიული დახმარებისა და რჩევებისთვის ამ ოფისებში მუშაობენ სერთიფიცირებული სოც. მუშაკები (*შიაკაი ფუკუში შიუჯი*) სპეციალიზირებული ცოდნითა და უნარებით. ამ ოფისებთან თანამშრომლობენ მოხალისეებიც (*მინსეი იინ*), რომლებიც ცდილობენ ღრმად ჩასწვდნენ მათ საცხოვრებელ რაიონებში მცხოვრებ მოხუცთა მდგომარეობას და თავიანთი საქმიანობით ეხმარებიან ადგილობრივ კეთილდღეობის ოფისებს. ხანდაზმულებს, რომელთაც განსაკუთრებული მოვლა და ზრუნვა ესაჭიროებათ, კეთილდღეობის ოფისი სთავაზობს შემდეგს: დღის სერვის ცენტრებს, მოხუცთა სახლებს (*კაიგო როჯინ ჰოკენ შისეცუ*), სპეციალურ ხანდაზმულთა სახლებს (*ტოკუბეცუ იოგო როჯინ ჰომუ*) და დემენციით დაავადებულ მოხუცთა ჯგუფების სახლებს (*ჩიჰოსეი კორეიშა გურუპუ ჰომუ*).



კეთილდღეობის სამსახური (ფოტო Getty Images-სგან)

იმისთვის, რომ ადგილობრივი საზოგადოების სწრაფ დაბერებას წარმატებით გაართვას თავი, იაპონიის მთავრობამ XXI საუკუნეში, 1989 წელს შემოიღო 10 წლიანი სტრატეგია, რომელიც ცნობილია „ოქროს პროექტი“-ს სახელით, რომელიც ხელს შეუწყობს ხანდაზმულთა სოციალური კეთილდღეობასა და მათი ჯანმრთელობის დაცვის მექანიზმების განვითარებას.

ეს გეგმა შესწორებულ იქნა 1994 წელს და ცნობილია „ახალი ოქროს პროექტის“ სახელით. 1999 წლისთვის „ახალმა ოქროს პროექტმა“

მნიშვნელოვანი გაუმჯობესება განიცადა. ეს ეხებოდა: მოხუცთათვის სახლში დამხმარეთა რიცხვის გაზრდას, მათზე მოკლევადიანი მზრუნველებისთვის საჭირო აღჭურვილობის გაუმჯობესებას, დღის მომსახურების შეთავაზებას (კვებისა და ფიზიკური ვარჯიშების ჩათვლით), და სახლში მომსახურების სერვისების გაფართოებას (აქ შედიოდა ექიმისა და მედდის ვიზიტების რაოდენობის გაზრდა მათთვის, ვინც სპეციალურ ზრუნვასა და მოვლას (მაგ., ვარჯიშები და ა. შ.) საჭიროებენ. 1997 წლის დეკემბერში ხანდაზმულთა გრძელვადიანი ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის შექმნისათვის სამი კანონპროექტი იყო მიღებული და ახალი სისტემა ძალაში 2000 წლის აპრილიდან შევიდა. მას შემდეგ, ზემოთ ჩამოთვლილ მომსახურებათა უმეტესობა სწორედ ამ გრძელვადიანი ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემის დამსახურებაა.

ახალი პროექტი, რომელიც ცნობილია სახელით "ოქროს პროექტი XXI", დაიწყო 2000 წელს. ის ითვალისწინებდა კონკრეტული ზომების მიღებას, როგორცაა: 1) გრძელვადიანი მომსახურების საფუძვლების გაუმჯობესება; 2) დაუძღვრებულ მოხუცთათვის ხელშეწყობის მხარდაჭერა; 3) მოხუცთა გაჯანსაღების მხარდაჭერა; 4) საზოგადოებრივი მხარდაჭერის განვითარება; 5) ისეთი გრძელვადიანი მომსახურების შეთავაზება, რომელიც დაიცავს მომხმარებელსა და სანდო იქნება მისთვის და 6) სოციალური საძირკველის ჩაყრა, რომელიც ხანდაზმულთა ჯანდაცვასა და კეთილდღეობას მოხმარდება.

ბავშვთა კეთილდღეობა

იაპონიაში პირველი მთავარი კანონი, რომელიც ეხება ბავშვებსა და მათ კეთილდღეობას, მიღებულ იქნა 1947 წელს და ცნობილია, როგორც ბავშვთა კეთილდღეობის კანონი (*ჯიდო ფუკუში ჰო*). ამ კანონით ბავშვი (*ჯიდო*) განისაზღვრება, როგორც 18 წლამდე ასაკის ადამიანი. სულ სამი ქვეკატეგორია გამოიყოფა: 1) ჩვილი, ერთი წლის ასაკამდე ბავშვი, რომელსაც ოფიციალურად მეძეპურ ბავშვს (*ნიუჯი*) ეძახიან; 2) ბავშვი ერთი წლიდან სკოლამდე ასაკამდე (*იოჯი*); და 3) ბავშვი სკოლის პერიოდიდან მოყოლებული 17 წლის ჩათვლით (*შიონენი*).

ბავშვთა კეთილდღეობის კანონის შესაბამისად, იაპონიის 47-ვე პრეფექტურაში, რამოდენიმე ბავშვთა მზრუნველობის ცენტრი (*ჯიდო სოდანჯიო*) ოპერირებს. ამ ცენტრებში ბავშვთა კეთილდღეობისთვის მომუშავე კვალიფიცირებული მუშაკები (*ჯიდო ფუკუშიში*) ადგილობრივი პრეფექტურის ბავშვებს ნებისმიერ თემაზე უწყვეტ კონსულტაციებს. ისინი რეგულარულად ატარებენ გამოკითხვებს და იღებენ ზომებს: ბავშვის მეურვეებს სთავაზობენ რჩევებს; უფლებამოსილი არიან შესაბამისი პირობები შეურჩიონ დროებითი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ ბავშვებს, მაგალითად, მოუმებნონ მათ აღმზრდელი მშობლები; ასევე. მათი მოვალეობაა ხელმოკლე ოჯახებიდან გამოსული ბავშვების განთავსება სოციალურად უზრუნველყოფილ ადგილობრივ ბავშვთა საცხოვრებლებში; ამგვარი გადაწყვეტილებები მიიღება უშუალო კონსულტაციებით სოციალური კეთილდღეობის მუშაკებთან და ჯანდაცვის ცენტრებთან (*ჰოკენჯიო*).

ბავშვთა საცხოვრებელ გარემოში მომხდარი ცვლილებებიდან გამომდინარე, რომელსაც ადგილი ჰქონდა იაპონიაში ბოლო 50 წლის განმავლობაში, 1997 წელს მიღებულმა ბავშვთა კეთილდღეობის კანონმა მნიშვნელოვანი სახეცვლილებები განიცადა. ცვლილებებმა მოიცვა ისეთი საკითხები, როგორც ეხებოდა ოჯახებს, სადაც ქმარიც და ცოლიც მუშაობდნენ შემოსავლისთვის; ასევე იმ ოჯახებს, სადაც მხოლოდ ორი ძირითადი თაობა იყო წარმოდგენილი და ზოგადი შობადობის კოეფიციენტის კლებადობის საკითხი, რომლის მიხედვით, 2012 წელს იაპონელი ქალის მიერ მის ცხოვრებაში გაჩენილი ბავშვების საშუალო რაოდენობა გახდა 1.41. ზემოაღნიშნული ცვლილებები ბავშვთა კეთილდღეობის კანონში ყურადღებას აქცევს არა მარტო ბავშვთა დაცვისა და გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის საკითხებს, არამედ იმისთვის ზრუნვას, რომ ზრდასრულობის ასაკისთვის ისინი იყვნენ სოციალურად, სულიერად და ეკონომიკურად თავდაჯერებული ადამიანები.

ბავშვთა კეთილდღეობის კანონში ცვლილებები ითვალისწინებს ბავშვიანი ოჯახების დამხმარე ცენტრების შექმნას (*ჯიდო კატეი შიენ სენტა*), რომლებიც თანამშრომლობენ ბავშვთა აღმზრდელობით ცენტრებთან და დახმარებას უწყვეტ ოჯახებს სხვადასხვა რჩევებით. ბევრი ამგვარი დაწესებულების სახელი და ფუნქცია შეიცვალა იმ მიზნით, რომ ხაზი გაესვათ უფრო “დამოუკიდებლობისთვის” (*ჯირიცუ*) ვიდრე „დამოკიდებული ზრუნვისთვის“. მაგალითად, “არასრულწლოვანთა დამნაშავეების სასწავლო და განათლების ცენტრს” (*კიოგოინ*) გადაერქვა

სახელი და დღეს იწოდება “ბავშვთა დამოუკიდებლობის ხელშეწყობ ცენტრად” (*ჯილო ჯირიცუ შიენ შისეცუ*). “უმამო ოჯახების” (*ბოშირიო*) ცენტრებს გადაერქვათ სახელი და ეწოდებათ “დედებისა და ბავშვებისთვის საარსებო მხარდაჭერის დაწესებულება” (*ბოში სეიკაცუ შიენ შისეცუ*).

ბავშვთა კეთილდღეობის კანონი, რომელიც ითვალისწინებდა მარტოხელა დედების ოჯახებისთვის ხელშეწყობას, კიდევ უფრო დაიხვეწა კანონით უმამო ოჯახებისა და ქვრივების შესახებ (ბოში ოიობი კაფუ ფუკუში ჰო), რომელიც ძალში 1964 წელს შევიდა.

ბავშვთა კეთილდღეობის კანონში ცვლილებების შეტანამდე, 1995 წელს, განათლების, შრომის, კეთილდღეობისა და მშენებლობის სამინისტროებთან ერთად შემუშავდა ათწლიანი პროგრამა, რომლის ოფიციალური სახელი იყო "ძირითადი მიმართულებები ბავშვთა აღზრდის ხელშესაწყობად", ხოლო არაოფიციალურად იწოდებოდა „ანგელოზის გეგმა“. შობადობის შემცირების შედეგად გამოწვეული პატარა ოჯახის ტენდენციის ერთერთი გამომწვევი მიზეზი ქალის დასაქმებულობის მაღალი პროცენტული მაჩვენებელი გახდა. ეს გეგმა კი ითვალისწინებს ქალებისთვის ისეთი გარემოს შექმნას, რომ ირწმუნონ - ბავშვების აღზრდა შესაძლებელია სამუშაო ადგილის შენარჩუნებასთან ერთად. კონკრეტული ზომები, რომლებიც იქნა მიღებული, ეხებოდა დღის ბაგა-ბაღების მუშაობის ხანგრძლივობის გაზრდას და დიდი რაოდენობით ბავშვთა აღზრდის დამხმარე ცენტრების (*კოსოდატე შიენ სენტა*) გახსნას მთელი იაპონიის მასშტაბით.

1999 წელს „ანგელოზის გეგმა“ განახლდა და მას „ახალი ანგელოზის გეგმა“ ეწოდა. იგი ითვალისწინებდა ბავშვთა მზრუნველობის დაწესებულებათა რაოდენობის ზრდას. 2003 წელს მიიღეს კანონი ახალი თაობის ხელშეწყობისა და განვითარებისთვის (*ჯისედაი იკუსეი შიენ ტაისაკუ სუიშინ ჰო*). 2005 წლიდან, ამ კანონით განისაზღვრა ათწლიანი პერიოდის სამოქმედო გეგმის მიმართულებები, რომელიც შემუშავებულია ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლებისა და ბიზნესის სექტორის მიერ და მიზნად ისახავს ისეთი გარემოს შექმნას, რომელიც აუცილებელია ჯანსაღი თაობების აღზრდისთვის.

ბავშვზე ძალადობის პრევენცია მზარდი აქტუალობის მქონე თემაა. ძალადობის შემთხვევებმა საგრძნობლად იმატა ბოლო ათწლეულის განმავლობაში. ბავშვზე ძალადობის კანონი ძალაში შევიდა 2000 წელს, ხოლო 2004-ში მან ცვლილებები განიცადა. კანონის ეს ცვლილება ადამიანებს ავალდებულებს ძალადობის შემთხვევისას შეატყობინონ ბავშვთა აღზრდის ცენტრებს და განმარტავს ამ ცენტრების თანამშრომელთა უფლებამოსილებას, რომ შემთხვევის ადგილზევე აწარმოონ გამოძიება.

უნარშეზღუდულთა სოციალური კეთილდღეობა

უნარშეზღუდულთა სოციალური კეთილდღეობისთვის მიღებული ზომები ეფუძნება 1949 წელს დამტკიცებულ ფიზიკურად უნარშეზღუდულთა კეთილდღეობის კანონს (*შინტაი შიოგაიშა ფუკუში ჰო*), 1960 წელს დადგენილ გონებრივად შეზღუდული პირების კეთილდღეობის შესახებ კანონსა (*ჩიტეკი შიოგაიშა ფუკუში ჰო*) და 1970 წელს დადგენილ უნარშეზღუდულთა მიმართ ძირითადი პოლიტიკის შესახებ კანონს. ეს უკანასკნელი ეხება მხოლოდ 18 წელზე მეტი ასაკის მქონე პირებს, ხოლო უფრო უმცროსი ასაკის უნარშეზღუდული პირები ბავშვთა კეთილდღეობის კანონით არიან დაცულნი. ფიზიკურად უნარშეზღუდულთა კეთილდღეობის ზომები ხორციელდება ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ, უფრო კონკრეტულად, სოციალური კეთილდღეობისა და სარეაბილიტაციო-საკონსულტაციო ცენტრების მიერ (*შინტაი შიოგაიშა კოსეი სოდანჯო*). ამ ცენტრებში და ინსტიტუტებში უნარშეზღუდული ადამიანები კონსულტაციებს გადიან სპეციალური ცოდნისა და უნარების მქონე მუშაკებთან. მათ ასევე ეხმარებიან კეთილდღეობის მოხალისეები (*მინსეი იინ*) და ფიზიკურად უნარშეზღუდულთა კონსულტანტები, რომლებიც ადგილობრივი (ქალაქის, რაიონისა და სოფლის) ხელისუფლებისგან ინიშნებიან.

სოციალური კეთილდღეობის ობიექტები (სახალხო და კერძო), 2011

სახალხო დახმარების მიმღები ინსტიტუტები	295
ხანდაზმულთა კეთილდღეობის ინსტიტუტები	5,228
ფიზიკურად უნარშეზღუდულთა რეაბილიტაციისა და დახმარების ობიექტები	4753
ქალთა დამცავი ობიექტები	46
ბავშვთა კეთილდღეობის ინსტიტუტები	33,711
გონებრივად შეზღუდულთა დამხმარე ინსტიტუტები	1318
ქალთა და ბავშვთა კეთილდღეობის ობიექტები	61
გონებრივად შეზღუდულთა რეაბილიტაციის ობიექტები	419
სხვა სოციალური კეთილდღეობის ინსტიტუტები	8,133

2011 წლის 1-ლი ოქტომბრის მონაცემები ჯანმრთელობის, შრომისა და კეთილდღეობის სამინისტროდან.

ამ ცენტრებში და ინსტიტუტებში უნარშეზღუდული ადამიანები კონსულტაციებს გადიან სპეციალური ცოდნისა და უნარების მქონე მუშაკებთან. მათ ასევე ეხმარებიან კეთილდღეობის მოხალისეები (*მინსეი იინ*) და ფიზიკურად უნარშეზღუდულთა კონსულტანტები, რომლებიც ადგილობრივი (ქალაქის, რაიონისა და სოფლის) ხელისუფლებისგან ინიშნებიან.

ფიზიკურად უნარშეზღუდულებს ხელი მიუწვდებათ სოციალური კეთილდღეობის უამრავ სახელმწიფო მომსახურებაზე. მაგალითად, კონსულტაციებზე, მეურვეობაზე, სპეციალურ რეაბილიტაციაზე, სამედიცინო მომსახურებაზე, საჭირო დამხმარე აპარატურის გამოცვლა-შეკეთებაზე და სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო ობიექტებში საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე. მძიმე მდგომარეობაში მყოფთათვის, მომსახურება მოიცავს გრანტებს ან სესხებს სველი წერტილების შესაკეთებლად, ღამის ქოთნებსა და სპეციალურად დამზადებულ საწოლებს, ტექსტურ რედაქტორებს (word processor), სახლში ადგილზე მომსახურებასა და შინ სამედიცინო პერსონალის მიერ გასინჯვას.

საზოგადოებაში უნარშეზღუდულთა დამოუკიდებლობის ასამაღლებლად ადგილობრივი ხელისუფლება მათ ეკონომიურ დახმარებას უწევს. მთავრობა ყიდულობს უნარშეზღუდულთა მიერ დამზადებულ ნივთებს. ასეთ საქმიანობას ხელს უწყობს სპეციალური პროგრამები, რომელიც უნარშეზღუდულებს ეხმარება საზოგადოების სრულფასოვან წევრად იგრძნონ თავი. განსაკუთრებულ უნარშეზღუდულებს (ტოკუბეცუ შიოგაიშია ტიატე) დახმარება ეწევათ, რათა მათ ეკონომიკურად დამოუკიდებლად იგრძნონ თავი. არსებობს სპეციალური პენსიები და დახმარებები ფიზიკურად და გონებრივად შეზღუდული ადამიანებისთვის.

ფიზიკურად და გონებრივად შეზღუდული ბავშვების შემთხვევაში, ამგვარ ბავშვთა სპეციალური აღზრდისთვის ფულადი დახმარება (ტოკუბეცუ ჯიდიო ფუიო ტიატე) ენიშნებათ ლეგალურ მეურვეებს, რომლებიც ამ ბავშვებზე მზრუნველობას ეწევიან. დახმარება უნარშეზღუდულობის ხარისხის მიხედვით ინიშნება. საგანმანათლებლო ობიექტებში განთავსებულია სპეციალური სკოლები უსინათლოთა, ყრუთა და მუნჯთათვის; ასევე საცხოვრებელი სკოლები, სადაც ასეთ ბავშვებს საგანგებოდ უვლიან და ასწავლიან; ასევე მათთვის არსებობს სპეციალური კლასები საჯარო სკოლებში. ბოლო წლებში ხშირია შემთხვევები, როცა ჩვეულებრივ სკოლაში უნარშეზღუდული ბავშვები ჯანსაღ ბავშვებთან ერთად იღებენ განათლებას.

ასევე დიდი ყურადღება ექცევა ფიზიკური სიმახინჯეების პრევენციას. მაგალითად, დედისა და ბავშვის ჯანდაცვის კანონი (ბოში ჰოკენ ჰო), რომელიც 1965 წელს მიიღეს, უზრუნველყოფს ფეხმძიმე ქალის ჯანმრთელობის მდგომარეობის გასინჯვასა და მისთვის სათანადო რჩევა-დარიგებების მიცემას.

იაპონიაში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, ე. წ. “ნორმალიზაციაში” განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ბოლო წლებში. ნორმალიზაციის მიზანია ისეთი საზოგადოების შექმნა, სადაც ბარიერები არ იარსებებს, სადაც უნარშეზღუდულები თვითდაჯერებულები იქნებიან და თავუსუფლად მიიღებენ მონაწილეობას ადგილობრივ საზოგადოებრივ საქმიანობაში. ამ საკითხთან დაკავშირებით იაპონიის მთავრობამ 1995 წლის დეკემბერში შეადგინა სამოქმედო გეგმა უნარშეზღუდული ადამიანებისთვის. ამ გეგმას შვიდწლიანი ნორმალიზაციის სტრატეგია ეწოდება. ამ გეგმით ცდილობდნენ უნარშეზღუდულთა დამოუკიდებლობის ხელის შეწყობას და დახმარებას, რათა მათ იცხოვრონ, როგორც საზოგადოების ჩვეულებრივმა წევრებმა. 2003 წელს წამოწყებული ახალი გეგმაც ამ მიმართულებისაა. ეს ახალი გეგმა ითვალისწინებს სახლში დამხმარეთა, დღის მომსახურების ცენტრებისა და ა. შ. რაოდენობის გაზრდას.

უნივერსალური დიზაინის გავრცელება



უნივერსალური დიზაინი საჯარო ობიექტებში (ფოტო INAX-სგან)

უნივერსალური დიზაინი ეფუძნება იდეას, რომ ყველა ადგილი თითოეული ადამიანისათვის ადვილად და თავისუფლად იყოს ხელმისაწვდომი.

იაპონიაში სახალხო ტრანსპორტი ძალიან მოხერხებულია. მაგალითად, რკინიგზის სადგურებში არის ლიფტები, ხოლო ავტობუსებში კი ისეთი ასასვლელი, სადაც მგზავრებს საფეხურის გარეშე შეუძლიათ ასვლა-ჩამოსვლა; შესაბამისად, სახალხო ტრანსპორტის გამოყენება ხელმისაწვდომი და კომფორტულია ყველასთვის. სახელმწიფო სპეციალურ დახმარებას უწევს მათ, ვინც იძენს ან არემონტებს ბარიერის გარეშე სახლებს. ე. წ. ბარიერის გარეშე სტანდარტები იქნა დაწესებული საჯარო ადგილების გაქირავებისთვის, ასევე, ინფრასტრუქტურის საგრძნობლად გასაუმჯობესებლად სკვერებსა და სხვა საჯარო ადგილებში; ეს ეხება შესასვლელებში კიბის მოხსნას, ტროტუარების სიმაღლის დარეგულირებას, სველი წერტილების ისე განთავსებას, რომ მათი გამოყენება ყველასთვის მარტივი, კომფორტული და ამავდროულად უსაფრთხო იყოს.

ადგილობრივი ხელისუფლება განსაკუთრებით ახალისებს უნივერსალური დიზაინის იდეის მქონე ჯგუფებს. კერძო კომპანიები კი უნივერსალური დიზაინის პროდუქტების განვითარებაზე არიან კონცენტრირებულნი. შესაბამისად, სხვადასხვა სექტორში მარტივად გამოსაყენებელი პროდუქციის რიცხვი იზრდება.

ეკონომიურად შეჭირვებული ადამიანების კეთილდღეობა

ეკონომიკურად შეჭირვებულ ადამიანებს ეკუთვნით დღიური დახმარება 1950 წელს დამტკიცებულ სახალხო დახმარების კანონის (*სეიკაცუ ჰოგო ჰო*) საფუძველზე. ამ კანონის ფუნდამენტური პრინციპია ღარიბი ადამიანები უზრუნველყოს საცხოვრებელი მინიმუმით, რათა მათ დამოუკიდებლად იგრძნონ თავი. ასეთი დახმარებები გაიცემა თავად შეჭირვებული პირის ან ასეთი პირის მეურვის ან ნათესავის განცხადების საფუძველზე, რომელიც იმავე მისამართზე ცხოვრობს. პრინციპში, დახმარებას იღებს მთელი ოჯახი.

ცალკეულ შეჭირვებულ პირებს ყოველდღიურ დახმარებას უწევენ კეთილდღეობის ცენტრები, უფრო კონკრეტულად, იქ მომუშავე სერთიფიცირებული მუშაკები. ისევე როგორც ხანდაზმულთა, ბავშვთა და უნარშეზღუდულთა შემთხვევებში, კეთილდღეობის ცენტრებს ეხმარებიან მოხალისეები, რომლებიც ინიშნებიან ადგილობრივი ხელისუფლებისგან.

დახმარების ტიპები 8 კატეგორიად შეიძლება დაიყოს: 1) საკვები პროდუქტები, ტანსაცმელი და ყველა ყოველდღიური საჭიროების ნივთი, 2) განათლებისთვის, განსაკუთრებით,



სავალდებულო განათლების მიღებისას გაწეული თანადგომა, რაც მოიცავს სკოლის ნივთებით, წიგნებით, სკოლაში კვებით, გარკვეული გაკვეთილების ქირის გადახდითა თუ სხვ. სახით მოსწავლეთა უზრუნველყოფას; 3) საცხოვრებელი ხარჯების დაფარვა; 4) სამედიცინო შემოწმებისა და წამლების ყიდვაში თანადგომა; 5) მშობიარობის დროს დახმარება; 6) ფონდებიდან თანხის მოზიდვა შრომისათვის საჭირო მოწყობილობის შესაძენად; 7) დაკრძალვისა და 8) ხანგრძლივი მკურნალობის ხარჯების დაფარვა.